www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017

მარტი

20.04.2017

www.geostat.ge

20.04.2017

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის მარტი

2017 წლის მარტში 2017 წლის თებერვალთან შედარებით **სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა** ფასების ინდექსი 1,4 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2016 წლის მარტთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 9,1 პროცენტით.

2017 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ფასები შემცირდა **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე** 1,3 პროცენტით, რაც ინდექსის მთლიან მაჩვენებელში -1,03 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების კლება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (-1,5 პროცენტი) და ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (-1,0 პროცენტი).

სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია: ფასები შემცირდა 4,5 პროცენტით, რამაც -0,21 პროცენტული პუნქტი შეიტანა ინდექსის ცვლილებაში.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 8,6 პროცენტით და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 7,10 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (38,4 პროცენტი), ასევე კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (7,8 პროცენტი). ფასები ტექსტილსა და საფეიქრო ნაწარმზე შემცირდა 23,1 პროცენტით;

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაიზარდა 10,6 პროცენტით, რამაც 1,49 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში;

- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 12,6 პროცენტით, რაც 0,50 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის მარტი

ჯგუფები	2017 წლის თებერვალთან	წვლილი[1] თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2016 წლის მარტთან	წვლილი[1] წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
სულ	**98.6**	**-1.40**	**109.1**	**9.09**
სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	**95.5**	**-0.21**	**112.6**	**0.50**
ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	95.7	-0.03	116.3	0.13
ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია	95.4	-0.18	111.3	0.37
გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	**98.7**	**-1.03**	**108.6**	**7.10**
კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	98.5	-0.56	107.8	3.06
ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	99.6	-0.01	76.9	-0.41
ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	92.8	-0.02	83.1	-0.06
მერქანი და მერქნის ნაწარმი	93.0	-0.08	94.2	-0.08
ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	99.7	-0.01	108.3	0.25
კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	95.9	-0.01	...	0.03
ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	98.9	-0.06	84.1	-1.02
რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	100.0	0.00	112.7	0.35
სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	99.2	-0.07	100.4	0.03
ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	99.0	-0.13	138.4	5.21
მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	91.8	-0.04	78.4	-0.22
ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	99.4	0.00	96.1	0.00
სატრანსპორტო მოწყობილობები	99.0	-0.01	88.1	-0.15
სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.6	-0.01	107.2	0.12
ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	**98.9**	**-0.15**	**110.6**	**1.49**

[1] რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge